

## ევროპავშირის მიერ აღმიღობრივი განვითარების ჰიუფების მხარე

რა გზები არსებობს საქართველოში სოფლის განვითარებისთვის და როგორ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ მოსახლეობას დაბრუნდნენ თავიანთ სოფლებში, გააძლიერონ ადგილობრივი ეკონომიკა და ჰქონდეთ ჭანსაღი და ხარისხიანი ცხოვრება. ევროპული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოფლის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ადგილობრივი მოსახლეობაა, რომლებმაც უკეთ იციან რა სჭირდება ადგილობრივ თემს და როგორ შეიძლება მიზნის მიღწევა.



ევროკავშირი ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში ეხმარება საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებაში ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAG) ჩამოყალიბებით და თემის მობილიზებით, რათა მათ ხელი შეუწყონ თავიანთი სოფლების საარსებო წყაროს გაუმჯობესებას.




LAG არის სოციალური პლატფორმა, რომელიც აერთიანებს ადგილობრივი საზოგადოების (საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორების) წარმომადგენლებს. იგი შეიმუშავებს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას და ახორციელებს მრავალფეროვან სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობას ადგილობრივი საზოგადოების სასარგებლობა. LAG-ის საქმიანობა ადგილობრივი მოსახლეობის ხედვას, ენერგიას და ჩართულობას ეფუძნება.

### რომორ გავეხმარეთ აღმიღობრივებს თემის მობილიზაციით მათი რეაილის განვითარებაში

- ▶ **საქართველოს 12 მუნიციპალიტეტში** ჩამოვაყალიბეთ LAG-ები და **ხელი შევუწყეთ ადგილობრივი თემის მობილიზებას და გაძლიერებას**
- ▶ **მხარი დავუჭირეთ LAG-ებს:**
  - ადგილობრივი **საჭიროებების და პრიორიტეტების განსაზღვრაში** და მათ გადაჭრაში
  - ადგილობრივი **სტრატეგიების შემუშავებაში** და ეკონომიკური აქტივობების **დივერსიფიცირებაში**
  - **გაფეცით გრანტები** LAG-ების მიერ შერჩეული ადგილობრივი ინიციატივების მხარდასაჭერად
- ▶ **დავაფინანსეთ LAG-ის მიერ შერჩეული 500-ზე მეტი სოფლის განვითარების ინიციატივა სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური სფეროებიდან:** **სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, სოციალური ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა, განათლება, სპორტი და კულტურა**
- ▶ **ამ ინიციატივებით უკვე დასაქმდა 1000-ზე მეტი ადგილობრივი ოჯახი, ხოლო **საცხოვრებელი პირობები 10,000-ზე მეტ სოფლად მცხოვრებ ადამიანს გაუმჯობესდა****
- ▶ **ცენტრალურ დონეზე, ევროკავშირი ეხმარება მთავრობას პოლიტიკის შემუშავებაში და 2021-2027 წლების სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის განხორციელებაში**
- ▶ **ხელი შევუწყეთ საქართველოს LAG-ების ასოციაციის და სოფლის განვითარების საზოგადოებრივი ქსელის შექმნას, მთავრობასა და LAG-ებს შორის აქტიური დიალოგისთვის**

## ევროპავილის მიერ მსარეაფერილი LAG-ები და ინიციატივები საქართველოში



## რა შედეგები მვაჰვს?



„ხულო ძალიან გაიზარდა, სამოქალაქო თვითშეგნება გაუმჯობესდა, ადგილობრივები უფრო გააქტიურდნენ და ცდილობენ მუნიციპალიტეტის განვითარებაში მონაწილეობა მიიღონ.“

- ასლან ტუნაძე, ხულოს LAG



„LAG-ის მუშაობამ ადგილობრივებს მოტივიზია გაუჩინა. ისინი ხედავენ, რომ ქედას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს და ცდილობენ, რომ ადგილობრივი რესურსები მაქსიმალურად გამოიყენონ.“

- გიორგი აბულაძე, ქედის LAG



“თეთრიწყაროს LAG-მა შეძლო სხვადასხვა სექტორის წარმოამდგენლების გაერთიანება და მათი ხედვისა და გამოცდილების მუნიციპალიტეტის განვითარებისკენ მიმართვა.“

- ნინო ტიკურიშვილი, თეთრიწყაროს LAG

## რას ვმემავთ?

ENPARD-ის პროგრამის მეოთხე ფაზის ფარგლებში, ევროკავშირი გააგრძელებს საქართველოს სოფლის განვითარების მხარდაჭერას და სოფლად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობას. პროგრამის შემდეგი ფაზა მეტად ორიენტირებული იქნება მოწყვლადირეგიონებისა და ოკაცების (მათ შორის ეკო-მიგრანტების, კონფლიქტით დაბარალებული პირების, ეთნიკური უმცირესობების, მიგრანტების) ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციაზე. ამასთან, პროგრამა გააგრძელებს ადგილობრივი განვითარების გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობას, მათ შორის ახალგაზრდებისა და ქალების გაძლიერებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [კამპანიის ვებგვერდი](#) და [www.enpard.ge](http://www.enpard.ge)